



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აჭარული დიალექტი

აჭარული დიალექტი, ქართული ენის ერთ-ერთი დიალექტი.

ძირითადად წარმოდგენილია აჭარაში. გავრცელებული აგრეთვე ისტ. აჭარის იმ ტერიტორიაზე, რ-იც ამჟამად თურქ. საზღვრებშია მოქცეული, და გურიის რამდენიმე სოფელში. ა. დ. იყოფა ზემოაჭარულ და ქვემოაჭარულ კილოკავებად.

ძირითადი ფონეტ. თავისებურებები: დასტურდება დ, ი ხმოვნის პოზიციური ნაირსახეობა ხმოვნის მომდევნო ან წინა პოზიციაში: ანა-დ... (ზოგჯერ ისმის სრულხმოვანი ი-ც), ანა-დს, ანა-დთ, გედნურება „გაინურება“, დალი „ერბო“...

უ არის პოზიციური ნაირსახეობა ვ (ექუსი, ბეური) და უ (იქაურობა, დანაშაული) ფონემებისა.

გვაქვს ა, ე, ი და უ გრძელი ხმოვნები, რ-ებიც ყველა შემთხვევაში პოზიციურია და მიიღება ძირითადად სამი გზით: იდენტური ხმოვნების შერწყმით, რასაც ხშირად წინ უსწრებს სრული ასიმილაცია ან ბგერის დაკარგვა (გაუკეთა>გუუკეთა>გუკეთა; მამამისი>მაამისი>მამისი); დაკარგული რ სონანტის საკომპენსაციოდ ხმოვნის დაგრძელებით (ერთი>ეთი, აღარ >აღა); დამოკიდებული წინადადების ბოლო სიტყვის ბოლოკიდურა ხმოვნის დაგრძელებით, თუ მას მოსდევს მთავარი წინადადება („იქით ომ დიდი სახლია, იქშია იგი გოგო“).

იშვიათია გ, რ-იც დასტურდება რედუცირებული ხმოვნის პოზიციაში (ღორჯომელი ღორჯგმელი), ანაპტიქსურ ხმოვნად (ცხგრა „ცხრა“).

დამახასიათებელია თანხმობანთგამყარად ხმოვნის ჩართვის შემთხვევები: კილდე „კლდე“, ხიშირი „ხშირი“, ქიფილი „ფქვილი“, წკინელი „წკნელი“...

პრევერბებში ჩვეულებრივია სრული რეგრესული ასიმილაცია: გაუკეთა > გუუკეთა, მოენყო > მეენყო, წამიყვანა > წიმყვანა: ხმოვნის ასიმილაციას იწვევს მ სონანტიც: რომ > რუმ. ეე ხშირად იცვლება დისიმილაციის საფუძველზეც: დაეკიდე > დეეკიდე > დიეკიდე > დდეკიდე; დისიმილაციით იცვლება ოა და ოე კომპლექსებიც: მოაგონდა > მუაგონდა, ვათხოვე > ვათხოე > ვათხუე. დასტურდება დისტანციური დისიმილაცია აა კომპლექსისა: გავა > გევა.

I სუბიექტური პირის ვ-ნიშნის მომდევნოდ ზმნისწინიან ფორმებში იკარგება ი- პრეფიქსი: დავინყე > დევინყე.

სპეციფიკურია ს > ჰ: სად > ჰად, ბიჭოს > ბიჭოჰ...

უხვადაა წარმოდგენილი ბგერათა გაჩენა, დაკარგვა, მეტათეზისი, აფრიკატიზაცია-დეზაფრიკატიზაცია..., რაც მეტ-ნაკლებად ქართ. ენის სხვა დიალექტებშიც გვხვდება.

მორფოლ. თავისებურებები: ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელები სახ. ბრუნვაში დაირთავენ -ღ || -ი ნიშანს: დაღ, თვეღ... -ია დაბოლოებიანი სახელები ხშირად წარმოდგენილია -იე დაბოლოებით: ზექიე, ფიქრიე...

ხშირია ნათესაობითსა და მოქმედებითში ფუძის უკვეცელობის შემთხვევები: ქოსადს, ქოსადთ...

-ში და -ზე თანდებულები დაერთვის აქ, იქ, მაქ ზმნისართებს: აქში, აქზე (> აგზე). -ვით > -ვე || -ვეთ || -ვენ || -ვინ (ძმასავე || ძმასავეთ || ძმასავენ || ძმასავინ). -ებრ > -ეფ || -ვეფ (ხარსაებრ > ხარსაეფ || ხარსავეფ). -თვის (|| თვინად) თანდებულს ხშირად ცვლის ბარობად || გულობად (ჩემბარობად, ჩემგულობად). -გარდა თანდებულს ენაცვლება გან-მეტი > გამ-მეტი (შენ-გამმეტი „შენ გარდა“) ... ზემოაჭარულში შეინიშნება -დამ (ნაფოცხვარიდამ).

ზოგ თქმაში დასტურდება ორმაგი მრავლობითის ფორმები: აგი-ნ-ებ-ი, იგი-ნ-ებ-ი.

ირიბი ობიექტისა და (ინვერსიულ ზმნებში) რეალური სუბიექტის მრავლობითობა გამოიხატება -ან, -ენ და -ეს სუფიქსებით: უნე-ვან „უნევთ“, ეთქვენ „ეთქვათ“, დიენერეს „დაენერათ“...

უძველესი ფორმაციის ზმნები (უპირველესად ზემოაჭარულში) ინარჩუნებენ მარტივ ფუძეს ანმყოში: ლეკ-ს, თიბ-ს, რეკ-ს, ნაყ-ს. პრეფიქსიანი ვნებითი ხშირად ინარმოება არქაული წესით: იმაღვის, იხარშვის, იდგმის...

ნამყო უსრულში -ავ და -ამ თემის ნიშნები გახმოვანებას იცვლიან; გვაქვს პარალელური ფორმები: მალევდა || მალვიდა, დგემდა || დგმიდა...

ვალდებულებით კილოში უნდა >ნა: ის-ნა წევდეს „ის უნდა ნავიდეს“.

ზოგ თქმაში (მაგ., მაჭახელის ხეობაში) წარმომავლობის სახელები ინარმოება -არ სუფიქსით: ჯვართა >ჯვართარი „ჯვართელი“. გათხოვილი ქალის წარმომავლობა აღინიშნება -ურა სუფიქსით: ბათუმურად „ბათუმიდან გამოთხოვილი ქალი“.

აღსანიშნავია ზოგი სინტაქსური თავისებურებაც: ზემოაჭარულში დასტურდება სპეციფ. კონსტრუქციები ტიპისა: ჩემთვის იგი არ უხსენებია „მე არ ვუხსენებოვარ“, ჩემთვის იმან გათოხნაო „უთქვამს, რომ მე გავთოხნე“.

ლექსიკა ყურადღებას იქცევს არქაული ფორმების (ბეჩი, ბაკუელი, კელობს), დიალექტური ინოვაციებისა (ბაძაგნარი, დაკივანება, დანაძირება) და ნასესხობათა მრავალფეროვნებით. სესხება ხდება ბანურიდან, კერძოდ, ჭანური კილოდან (ჯარგვალი, კუჩხე, ქვიჯა), ზოგი ფორმა შემოსულია თურქულიდან (ბეგი, ბალდიზი, ტაიაფ, ჩორბა, ჰაჯი), რ-თა უმეტესობა ამჟამად საკუთრივ ქართ. ეკვივალენტებითაა შეცვლილი.

ლიტ.: ლ ო მ თ ა თ ი ძ ე ქ., დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება ზოგ ქართულდიალექტში, «იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება», 1946, ტ. 1; ნ ი ჟ ა რ ა ძ ე შ., აჭარულიდიალექტი, ბათ., 1975; ნ ო ღ ა ი დ ე ლ ი ჯ., ნარკვევები და ჩანაწერები, წგ. 2, ბათ., 1972.

ბ. ჯორბენაძე
